საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10697/01
13/11/2020

10697-01-2-202011131134

შპს „ნუშიანს“

მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის N80, ბლოკი ბ, ბინა N7

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 28 ოქტომბრის N16883 განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალგეთისა და კაპანახჩის ტერიტორიებზე სამელიორაციო სისტემისა და წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა რომ სკრინინგის განცხადებაში კვლავ არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ინფორმაცია მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში არასაკმარისად არის განხილული ინფორმაცია მდინარე ალგეთზე არსებული წყალმომხმარებლების შესახებ;
- წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში (ცხრილი 3.5.1) მოცემულია ინფორმაცია მდინარე ალგეთის მხოლოდ ძირითადი ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ და არ არის მოცემული წყალაღების კვეთში მდინარე ალგეთის ჰიდროლოგიური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია. ჰიდროლოგიური მიმართულებით წყალაღების კვეთში ასახული უნდა იყოს 1%-იანი (100 წლიანი) უზრუნველყოფის მდინარის წყლის მაქსიმალური ხარჯი შესაბამისი დონით და ჰიდრავლიკური ელემენტებით, ასევე მდინარის საშუალო მრავალწლიური წყლის ხარჯი და მისი შიდაწლიური განაწილება (მათ შორის წყალაღების წერტილზე), ეკოლოგიური ხარჯის სიდიდე, აგრეთვე წყალაღების კვეთში კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი და მაქსიმალური წარეცხვის სიღრმეები;
- შესაბამისი შეფასების საფუძველზე უნდა იქნეს წარმოდგენილი წყალაღების შემდგომ მდინარე ალგეთში დარჩენილი წყლის ხარჯის მაჩვენებელი;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, მდ. ალგეთის საშუალო წლიური ხარჯი ს. ფარცხისთან შეადგენს 2,58 მ3/წმ, მაქსიმალური 186 მ3/წმ. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ინფორმაციის წყარო;

- დოკუმენტაციაში არ არის მოცემული ინფორმაცია წვეთოვანი რწყვის ჯერადობის შესახებ (გრაფიკი) თვის განმავლობაში;

- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული მდინარე ალგეთიდან წყლის ამოღების გეგმა-/გრაფიკი;.

- სკრინინგის ანგარიშში მოცემულ ნახაზზე 2.1.1 ,,პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურის ძირითადი ელემენტები " (გვ. 13) წარმოდგენილი ექსპლიკაცია არ იკითხება;

- სკრინინგის განცხადებაში არ არის ჰიდროტექნიკური ნაგებობის შევსების/დაცლის, ტექნიკური მომსახურების გრაფიკი. მოცემული არ არის ინფორმაცია ჰიდროტექნიკური ნაგებობის სამშენებლო სპეციფიკის შესახებ, კერძოდ რა მასალით და როგორ იგეგმება აღნიშნული ნაგებობის მოწყობა. ამასთან, სათანადოდ არ არის განხილული ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხები;

- სკრინინგის დოკუმენტაციაში არასაკმარისადაა მოცემული ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შესახებ;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული/განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე